ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3902151

ნომერი: AR1587272

თარიღი : 21.03.2018

გაცემის თარიღი : 05.04.2018

გაცნობის თარიღი : 05.04.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თემქის დასახლება, III მ/რ, V კვარტალი N25ა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი გიორგაძე პ/ნ 01017008285
- თბილისი ე.გაბაშვილის ქ. N 14

ორგანიზაცია:
- შპს ნეოგაზი კოდი: 405037213

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 11 აგვისტოს №2773465 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 21 მარტს №AR1587272 განცხადებით მომართეს გიორგი გიორგაძემ და ზურაბ გოზალიშვილმა და ამავე სამსახურის 2016 წლის 11 აგვისტოს №2773465 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება მოითხოვეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2016 წლის 11 აგვისტოს №2773465 ბრძანებით ქ. თბილისში, თემქის დასახლება, III მ/რ, კვარტალი №25ა-ში, შპს „ა.რ.ტ“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.05.001.069) შეთანხმდა ავტოსამრეცხაოს არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 11 აგვისტოდან 2017 წლის 11 აგვისტოს ჩათვლით. ამავე სამსახურის 2017 წლის 19 ივნისის №3333490 ბრძანებით მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2018 წლის 11 აგვისტოს ჩათვლით. ზემოაღნიშნული ბრძანება განიხილება სამსახურის 2016 წლის 11 აგვისტოს №2773465 ბრძანებასთან ერთად.

დღეისათვის, საჯარო რეესტრში დაცული მონაცემებით, (განცხადების რეგისტრაცია: №882017771655; მომზადების თარიღი: 23/08/2017 18:57:12) ქ. თბილისი, თემქის დასახლება, III მ/რ, V კვარტალი, №25ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.12.05.001.069) წარმოადგენს შპს „ნეოგაზის“ საკუთრებას. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (რეგისტრაცია ნომერი: №B17050017, მომზადების თარიღი: 05/05/2017 15:50:57) შპს „ნეოგაზის“ ხელმძღვანელობა / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია ზურაბ გოზალიშვილი.

წინამდებარე განაცხადით, მესაკუთრე ითხოვს სამსახურის 2016 წლის 11 აგვისტოს №2773465 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან, აღარ აქვს აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა, არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს აღარ აქვს სამსახურის მიერ გაცემული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საპროექტო ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 61-ე მუხლებისა და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს გიორგი გიორგაძისა და ზურაბ გოზალიშვილის 2018 წლის 21 მარტის №AR1587272 განცხადება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 11 აგვისტოს №2773465 ბრძანება;
3. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.